საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-121

ქ. თბილისი

01/03/2018

შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ნოვა“-ს მიერ წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის მიმდებარედ შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს ,,ნოვა“-ს დაქვემდებარებაში არსებული საწარმოო ობიექტი მდებარეობს ქალაქ ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, აეროპორტის გზატკეცილი №261-ში შპს „ნოვა“- ს მფლობელობაში არსებულ შენობაში, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (ს/კ 05.32.06.125.).

შპს „ნოვაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #000156; 04.08.2015 (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 37 03.08.2015) ქ. ბათუმში, ბაგარიონის ქ. #105ბ-ში პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე. შპს „ნოვას“ მიერ განხორციელდა აღნიშნული საწარმოს განთავსების ადგილის ცვლილება.

შპს ,,ნოვა“ აწარმოებს სასმელი წლის შესანახ პოლიეთილენის ავზებს. საწარმო აღჭურვილია ,,Polivinil”-ის მარკის იტალიური დანადგარით. საწარმო ამ ეტაპზე 100-დან 5000 ლიტრამდე ტევადობის ავზებს აწარმოებს, იგი წლის განმავლობაში მოიხმარს დაახლოებით 1000 ტ ნედლეულს. დღიური რაოდენობა შეადგენს 3ტ/დღ. საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 1კმ-ით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია საწარმოო განთავსების ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა, კლიმატურ-მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და სეისმური პირობები. ბიომრავალფეროვნების მხრივ, საპროექტო საწარმოს მთელი ტერიტორია და მისი მიმდებარე ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, საწარმოს უმეტესი ტერიტორია ასფალტირებულია. შპს „ნოვა“-ს საწარმოს განთავსების რაიონში საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების ნიშნები არ ფიქსირდება.

სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო ქსელში.

საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ასევე მცირე რაოდენობის საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის საკვლევ ტერიტორიაზე დაიდგმება პლასტმასის კონტეინერები.

მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არის შეთანხმებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი”.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ჰაერის, ნარჩენების, წყლის), ასევე ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტმა, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №7; 22.02.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „ნოვა“-ს ქალაქ ბათუმის მიმდებარედ აეროპორტის გზატკეცილი № 261-ში, პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ნოვა“-ს ელასტიკური ნივთიერებების დამუშავების (პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმო) საწარმოს ექსპლუატაციააზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისსტოს #ი-594 ბრძანება;
3. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
4. შპს ,,ნოვა“-მ საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული გადაწყვეტილებით (№7; 22.02.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:
   4.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
   4.2 უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
   4.3 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ობიექტის გენერალური გეგმის შემუშავება გაფრქვევის წყაროებისა და წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების დატანით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენა.
   4.4 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს სანიაღვრე წყლების ანგარიშის შემუშავება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენა.
   4.5 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში, განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემების (ხანძარსწინააღმდეგო ინვენტარი, სახანძრო წყლის რეზერვუარი და სხვა) სრული აღწერა და უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენა;

4.6 ვინაიდან საწარმოს ტერიტორია ემთხვევა “ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვისშესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტს (ჭოროხი დელტა GE0000054), საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს ზემოხსენებულ კანდიდატ საიტზე, იქ არსებულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე ზეგავლენის შეფასება ე.წ მიზანშეწონილობის შეფასება. შეფასებაში ასახული იქნას, მოსალოდნელი ზეგავლენა (განსაკუთრებით ფრინველებზე, რადგან საწარმოს ტერიტორია ემთხვევა გადამფრენი მფრინველების სამიგრაციო გზას), სათანადო დასაბუთებებით; ზემოქმედების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს შემარბილებელი და ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებების და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო გეგმის შემუშავება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენა.

4.7 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმება სამინისტროსთან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების შესაბამისად.

4.8 უზრუნველყოს შპს “ნოვა“-ზე გაცემული მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიის თანახმად ჭაბურღილის სანიტარულ ზონებში გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვა;

4.9 საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა;

4.10 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ნოვა“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ნოვა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-937

19/10/2020

ქ. თბილისი

„შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ნოვას“ მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. ბათუმის მიმდებარედ პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-121 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-4 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№7; 22.02.2018), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-121 ბრძანების:

   ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ნოვას“ პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე;“

   ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3. შპს „ნოვამ“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნოვას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნოვას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი